განკარგულება:**გ-17. 17240264**
თარიღი:**26/01/2024**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის ცნობად მიღება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N53 დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 132-ე მუხლის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **მაკა მანჯავიძის** ანგარიში - 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #62ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2023 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

ქ. ბორჯომი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით შექმნილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის წესი განსაზღვრულია „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N53 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N54 დადგენილებებით. კომისია შედგება 12 წევრისაგან.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში კომისიამ გასული 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გაწია შესაბამისი სამუშაოები. ამ პერიოდში ჩატარდა 17 სხდომა (1 გასვლითი სხდომა), სადაც გატანილი და განხილული იქნა 95 საკითხი, სხდომაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა კომისიის სხდომის ოქმებით.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კომისიის ინიციატივით ცვლილება განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამეტში, ასევე საკრებულოს კომისიების: იურიდიულ, აგრარულ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების დებულებებში,

კომისიის ინიციატივით განხორციელდა არაბული ციფრების გამოყენებით დამისამართებული სოფელი ყვიბისისა და სოფელი ტბის თემში შემავალი სოფლების (ყვიბისი, ზანავი, კორტანეთი, რველი, ბეშეთი, ვარდგინეთი, ტბა, სადგერი, ცემი, პატარა ცემი, ლიბანი) დამისამართება - სახელების შეცვლა და მათთვის საზოგადო მოღვაწე პირებთან დაკავშირებული სახელწოდებების განსაზღვრა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად.

2023 წელს საკრებულოში წარმოდგენილი იყო პეტიცია, რომელიც ეხებოდა სოფელ ტაბაწყურში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. კომისიის მიერ განხორციელდა პეტიციის შესწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების თანახმად განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება - „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა“. ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესის დადგენა. კომისიის მიერ შემუშავებული იქნა „მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა 2023 წლის 23 მარტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე. ამავე სხდომაზე იქნა დამტკიცებული კომისიის შემუშავებული „სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების და სააღსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განახორციელა “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბაკურიანის განვითარების სააგენტოსა და ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიერ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი დებულების და დადგენილებების პროექტების შესწავლა და საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 137-ე მუხლის თანახმად სამართლებრივი ექსპერტიზისთვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადაგზავნა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემდგომ იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილებების პროექტები საკრებულოს სხდომაზე განსახილველად რაზედაც მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე.

კერძოდ:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტებისა და სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირის, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი 2024 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ივლისის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ .

გარდა ზემოთ აღნიშნულისა 2023 წლის საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის თანახმად მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ნორმატიული აქტების (დადგენილებების) ექსპერტიზის შედეგად წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით უზრუნველყო მიღებული დადგენილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

კომისიამ ვერ გაითვალისწინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 28 მარტის NGOV 4 23 00009329 საკონსულტაციო დასკვნა და 2023 წლის 12 დეკემბრის N GOV 3 23 00037309 სამართლებრივი დასკვნა, კერძოდ:
2023 წლის 28 მარტის NGOV 4 23 00009329 საკონსულტაციო დასკვნა ეხებოდა სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარდგენილ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტებს „სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების და სააღსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების შესახებ“ და „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ „დადგენილების“ გამოცემასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებაზე: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 128-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დადგენილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აღსრულდება ამ კოდექსითა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებს, იმ ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, და მისი გასაჩივრების ვადას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააღსრულებო წარმოების დაწყების წინაპირობას წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების, უნებართვო მშენებლობის შეჩერების ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოდ დადგენილია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (ანუ მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მერიის თანამდებობის პირი), რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით აქვთ მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების - გამოცემის უფლებამოსილება. უფრო მეტიც, „სააღსრულებო

წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აღსრულებას ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანომ (მუნიციპალიტეტის მერმა ან მის მიერ უფლებამოსილმა მერიის თანამდებობის პირმა) შეიძლება გამოსცეს მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი - „ბრძანების“ სახით.

რაც შეეხება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსსა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 90[1] მუხლში მითითებულ ტერმინს - დადგენილებას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის აზრით, იგი მოცემულია როგორც ზოგადი განმარტება სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ამრიგად, მუნიციპალიტეტის მერმა (სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანომ) უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება (ანუ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება) მშენებლობის შეჩერების, უნებართვო დემონტაჟის შეჩერების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟისა და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევისათვის.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება/განმარტების წარმოდგენის მიზნით იურიდიული კომისიის მიერ მომზადდა წერილი, რომელიც გადაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას დაიწყოს აღსრულება მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მერიის თანმდებობის პირის (სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს) მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - ბრძანებების საფუძველზე. შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ვერ იქნა გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ზემოაღნიშნული დასკვნა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 დეკემბრის N GOV 3 23 00037309 სამართლებრივი დასკვნით, რომელიც ეხებოდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №9 დადგენილებას დაგვევალა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 132-ე მუხლის თანახმად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, რაც თავისთავად გულისხმობდა აღნიშნული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას. კომისიის მიერ მომზადდა წერილი, რომელიც გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და განემარტათ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფდა წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-6 პუნქით რეკომენდებულია (და არა სავალდებულო) სახელმწიფო ერთეულმა სპეციფიკის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშაოს და ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) დაამტკიცოს ინვენტარიზაციის ჩატარების შიდა წესი და შიდა წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და პირობები გაითვალისწინოს სააღრიცხვო პოლიტიკაში;

ბ) „ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2017 წლის 31 მარტის N9 დადგენილების პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით დამტკიცებული N1, N2, N3 და N4 დანართები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნებს, ამასთან ერთად აღნიშნული წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ ინვენტარიზაციის არამედ ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესსაც;

გ) „ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის N9 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტით და დადგენილების მესამე მუხლით დამტკიცებული „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 100% -იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოს საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ „ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია ტარდება „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს №12-03 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სააერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად“.

დ) ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ -სა და „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-ს რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“, მოგეხსენებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა: ორგანიზაციის მთლიანი ან ნაწილობრივი რეორგანიზაციისას (გაერთიანების, დაყოფის) შემთხვევაში - რეორგანიზაციის დაწყების წინ. „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ -სა და „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-ში მიმდინარეობს ინვენტარიზაცია „ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის N9 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება გამოიწვევდა მთელ რიგ პრობლემებს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ინიციატივით მომზადებული და სამართლებრივი ექსპერტიზის მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადაგზავნილი

დადგენილებები მიღებულია საკრებულოს სხდომაზე და გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე.

გასული წლისათვის იურიდიულ საკითხთა კომისიამ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 93-ე მუხლის შესაბამისად განახორციელა პროცედურები საკრებულოს წევრის ვაჟა აიწურაძისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით, მომზადდა წერილები და განკარგულებების პროექტები:

- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვაჟა აიწურაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ’;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის წევრის ვაჟა აიწურაძისათვის ამავე კომისიაში უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“;
- 2023 წლის 27 სექტემბრის N17-17232706 და 28 სექტემბრის N 17-17232713 წერილები;
- „მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის Nგ-17.17213379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის Nგ-17.17213373 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიიერ მომზადდა რეკომენდაცია:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით ჩანაცვლებული საკრებულოს წევრის ნოდარ ციცქიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების საკრებულოს სხდომაზე ცნობად მიღებასთან დაკავშირებით;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი (2024-2027) პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით;

კომპეტენციის ფარგლებში განხილული იქნა საკრებულოში შემოსული წერილები და განცხადებები. კომისიასთან შეთანხმებით მომზადდა, როგორც პასუხები, ასევე წერილები სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნად.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მაკა მანჯავიძე